განკარგულება:**g-49. 49262129**
თარიღი:**31/07/2026**

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N3 საჯარო სკოლისათვის კობა ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის **N3** საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2026 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმი №3), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის **N3** საჯარო სკოლისათვის კობა ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის **N3** საჯარო სკოლას მიენიჭოს კობა ფხაკაძის სახელი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი